წლიწადი მერვე

საქართველო უწინარეს ყოვლისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
იანვარი 1933 წელი
№ 60

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction: THETHRI GUIORGUI, 63 bis, Rue de Billancourt, BOULOGNE - Seine
რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur : M. TSERETHELI

Paris
Janvier 1933
№ 60

## საქართველო უწინარეს ყოვლისა

ძვირფასო ძმებო, თეთრგიორგელებო! ეს ახალი წელიც უცხოეთში გვითენდება. ოდესღაც, წმიდა შობას და ბრწყინვალე ახალწელიწადს საკუთარ ოჯახში, წინაპართა კერასთან და საყვარელ არსებათა შორის ვეგებებოდით ხოლმე.

რუსებმა დაგვინგრიეს კერა, აგვიწიოკეს, შეგვიგინეს და დაგვირღვიეს ოჯახი. მახლობელნი გვიწამეს და ამოგვიჟლიტეს!

მაგრამ თუ რომელიმე თქვენგანს გულში გაუვლის ხოლმე, რომ სახლ-კარ დაკარგულს, დევნილს და დამშეულს ამ ქვეყნად აღარა გააჩნია რა' ძალიან შეცდება. ასეთი გრძნობა სულიერი სისუსტეა, რაც თ.-გიორგელს არ შეშვენის.

მართალია, ჩვენ, ყველამ, პირადი მდგომარეობა და ოჯახი დავკარგეთ, მაგრამ ქართველებს გვაქვს საერთო, დიდი და გარდუვალი ოჯახი; გმირთა სამყარო, ჩვენი სამშობლო, დაუნგრეველი ოჯახია! გწამდეთ ეს. ძმებო, და იყავით მტკიცედ! გახსოვდეთ საააძის მიერ წარმოთქმული: «რამდენადაც მეტი უბედურება მეწვევა ხოლმე და მეტი დაბრკოლებები მეღობებიან წინ, იმდენად მეტად ვმაგრდებიო», ესაა ბრძოლის მთავარი პრინციპი და გამარჯვების საშუალება. ყოველმა თ.-გიორგელმა გულის ფიცარზედ დაიწერეთ დიდი გიორგის ეს მედგარი სიტყვები და მით გაიმარჯვებთ!

ქართველთა საერთო ეროვნული ოჯახი ჩვენ სახელოვან წინაპრებს საუკუნეთა განმავლობაში უშენებიათ და მის დასაცავად ოკეანე სისხლი დაუღვრიათ. მათ თავისი ღვაწლითა სასტიკი ბრძოლით და გენიით, უშვენიერეს წალკოტში, შეჰქმნეს ქართველთა სულიერი კერა. შემოსეულ მრისხანე მტერს, ჩვენი ქვეყანა ხშირად ცეცხლსა და მახვილისათვის მიუცია და ნივთიერ-ფიზიკურად აუოხრებია. მაგრამ მამა-პაპათა მიერ გამოჭედილი საქართველოს მტკიცე სული არა ჰქრებოდა და ენთო მარადი ბრწყინვალებით. ეს უკვდავი სული ქართლოსის ძეთა ხელახლად აგებდა ხოლმე დანგრეულ ქალაქებს, უბადლო ტაძრებს, მეფეთა პალატებს და სასახლეებს! ამაყი და შეუპოვარი ციხე-კოშკები სამშობლო მიწა-წყლის დასაცავად კვლავ ათასობით აღიმართებოდენ ხოლმე. აი, ეს უკვდავი სული საქართველოსი არის ჩვენი უზენაესი და დაუნგრეველი ოჯახი. ოჯახი, რომელიც შემოგვიკრებს ეროვნული შეგნების, გრძნობის და იდეის გარშემო. ყოველი ჩვენგანის სული ერთი პატარა ნაწილია საქართველოს ამ დიადი და ურყევი სულისა, სანამ ურყევად და შეუდრეკლად ვატარებთ სამშობლოს მტკიცე სულს, სანამ საერთო ოჯახი გვაქვს და მისი ღირსეული შვილები ვართ. ხოლო ვინც დაეცემა სულით, ისსუტებს, სასოწარკვეთილებას მიეცემა, და მაშასადამე, ბრძოლას მიატოვებს, იგი უღალატებს საქართველოს სულს, თვითონვე გაუდგება და დაჰკარგავს უზენაესს ოჯახს! აი, სწორედ მას ამ ქვეყნად აღარასფერი აღარ დარჩება არა, დღეს ღვაწლის და ბრძოლის დღეა და რა; დრო ვალალისა და ვაგლახისა! შევიშროთ თვალებზედ ცრემლი, ძმებო, გული გავისალკლდევოთ და მტკიცედ დავრჩეთ ჩვენს სადარაჯოზედ! მუხთალმა ბედმა თუნდაც რომ ყოველივეს წაგლეჯა შესძლოს, ერთ რამეს მაინც ვერ წაგვართმევს: შურის ძიების გრძნობას! სამშობლოს შეგინებული ნამუსი და წამებულ ქართველთა აჩრდილნი შურის ძიებას მოითხოვენ!

თ.-გიორგელებს შეგიძლიანთ იამაყოთ მით, რომ თქვენ პირველმა წამოაყენეთ წმინდა ეროვნული იდეა. თ.-გიორგის გაჩენამდე ქართველ პოლიტიკური პარტიები ჩვენი ხალხის პოლიტიკურ მოძრაობას რუსეთის იმპერიაში არსებული პარტიების შორის ბრძოლის ხასიათს აძლევდენ. თვით დამოუკიდებლობის დროსაც კი საქართველოს თავდაცვის პოლიტიკას მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის არსებული დავის საკითხის სახე მისცეს. ეს კი ნიშნავს ეროვნული იდეის დამცირებას, ეროვნული ბრძოლის დაკნინებას.

ხოლო თქვენ პირველმა გაავლეთ ფსიქოლოგიური მიჯნა რუსეთსა და საქართველოს შორის; თქვენ პირველმა მიუთითეთ ქართველობას ეროვნული ბრძოლის ჩამდვილ პოზიციებზედ. თქვენ პირველმა წამოაყენეთ და განმარტეთ ნაციონალიზმი მთელი მისი დიადი შინაარსით. და მიუხედავად უძნელესი პირობებისა, სიმტკიცით იცავთ ამ იდეასა.

მართალია, ბევრ თ.-გიორგელს და მათ ბელადებს აქტიურ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღიათ და საჭურველით ხელში დაუცავთ სამშობლოს თავისუფლება, მაგრამ თ. გიორგი, როგორც ორგანიზაცია, ჯერ სამხედრო ბრძოლის ველზედ არ გამოსულა, ჯერ ქარქაშითგან ხმალი არ ამოუღია. ამისი დროც მოვა! ვიცი, რომ მოუთმენლად მოელით იმ ჟამს ოდეს ბრძოლის ბუკი თ.-გიორგის დროშის ქვეშ მოგიხმობთ. ვიცი, რომ მედგრად და გულ-და-გულ ეკვეთებით მოსისხლე მტერსა!

მე მინდა ახალი წლის მოლოცვასთან ერთად გაგიზიაროთ ჩემი ურყევი რწმენა მომავლისადმი. მინდა აგრეთვე დაგარწმუნოთ, რომ მსოფლიოში თ.-გიორგის იდეა, ე.ი. ინტეგრალური ნაციონალიზმი იმარჯვებს. იგი ძლევა-მოსილი გზას იკაფავს თავისი დიდი მიზნისაკენ და ახალ ცივილიზაციას მკვიდრ საძირკველს უყრის; თავისი ძლიერი ხელით ცხოვრების ახალ ხანასა სჭედავს. იცოდეთ, რომ ინტეგრალურ ნაციონალიზმის მსოფლიო გამარჯვებაში თ.-გიორგისაც ედება პატარა წილი; რომ იგიც იტყვის თავის სიტყვას.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის სამხედრო ბრძოლის საათიც დაჰკრავს. მაშ იყავით მხნედ! იყავით მზად სულიერად ამ სანატრელი და ბედნიერი დღისათვის.

მუდამ გახსოვდეთ შემდეგი. რამდენადაც სასახელოა საქართველოს ისტორია და განუსაზღვრელი წინაპართა მიერ გაღებული მსხვერპლი, იმდენად წმინდა და დიდია ჩვენი მოვალეობა სამშობლოსადმი. გახსოვდეთ, რომ თუმცა ბედმა ყოველ თქვენგანს მწარე ხვედრი გარგუნათ, სამაგიეროდ უმაღლესი ჯილდოთი დაგაჯილდოვათ, მით რომ ჩაგაბარათ საამაყო მოვალეობა: **ბრძოლა სამშობლოსათვის!**

გილოცავთ ახალ წელს! მე არ ვიცი რას მოგვიტანს იგი... არც ვკითხულობ ამას, რათგან თ.-გიორგიმ საქართველოს თავისი საკუთარი ხელით უნდა გამოუჭედოს წლებისა და საუკუნეების შინაარსი! ყოველმა თქვენგანმა მტკიცედ უნდა იცოდეს, რომ ესაა ჩვენი ბრძოლის პრინციპი და მიზანი.

თეთრი გიორგის მთავარი მდივანი ლეო კერესელიძე.

## ინტეგრალური ნაციონალიზმი

მიზნადა მაქვს რამდენიმე წერილში გავარჩიო ინტეგრალურ ნაციონალიზმის მთავარი დებულებანი: 1) ინტეგრალურ ნაციონალიზმის საერთო ხასიათი, 2) რეალური წარმომადგენლობა, 3) კორპორატიული სისტემა, 4) ეროვნული ეკონომიკა, 5) ეროვნული სახელმწიფოს ზნეობრივი და სოციალური ფუძენი: ა) ეროვნული დისციპლინა, ბ) სარწმუნოება, გ) ოჯახი, დ) ეროვნული ტრადიციები, ე) პატრიოტიზმი.

ამ პირველი წერილის საგანს ინტეგრალურ ნაციონალიზმის ხასიათი შეადგენს.

თანამედროვე ხანა ძირითად გარდატეხას განიცდის. ასეთი გარდატეხანი ბუნებრივია და პერიოდულად ხდება ხოლმე.

ინგრევა ძველი ქვეყანა. ხოლო ახალი ვითარება წარმოშობის პროცესშია. პირადად ჩემთვის, უკვე მსოფლიო ომის სტიქიონში, ნათელ იქმნა, რომ პრინციპებს, რომელზედაც საზოგადოება იყო დამყარებული და ფორმებს მისი ორგანიზაციისა უკვე დრო მოეჭამათ და ირღვეოდენ; რომ ცხოვრების ნაკადული ძველ კალაპოტში ველარ ეტეოდა და ახალი გზებით აპირებდა წასვლასა. ეს აზრი მე გამოვსთქვი ერთ ჩემ თხზულებაში, რომელიც დავსწერე 1916 წელსა, ფრონტზედ, თვით ომის ქარ-ცეცხლში და რომლის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, შემდეგს ვამბობ: „ეს საშინელი ომი განა ნათლად არ გვიჩვენებს, რომ ცხოვრებას აღარ შეუძლია განაგრძოს არსებობა წარსულ პოლიტიკურ და სოციალურ ფეძეებზედ?„ 1)

თუ ამ 16 წლის წინეთ ეს აზრი ბევრისათვის სადავო იყო დღეს იგი ყოველივე ეჭვს გარეშეა. ახლა ყოველი დაკვირვებული ადამიანისათვის ნათელია, რომ დემოკრატიის მიერ შექმნილი პრინციპები, რომელზედაც მთელი ევროპა იყო დამყარებული ირღვევიან და მათ ნანგრევებზედ შეჭიდებულია ორი ძალა: მარქსიზმი (ე.ი. მენშევიზმ-ბოლშევიზმი) და ინტეგრალური ნაციონალიზმი. ბედი კულტუროსანი კაცობრიობისა ამ ჭიდილის შედეგზედაა დამოკიდებული.

ინტეგრალური ნაციონალიზმი წარმოშობილია ეროვნულ სალ და რჩეულ ელემენტთა მიერ. რომელნიც ყოველთვის ერის სიცოცხლის ძალას შეადგენენ და მის განსაცდელის ჟამს სიმტკიცით წამოიჭრებიან ხოლმე. ამნაირად ინტეგრალური ნაციონალიზმი ერის თავდაცვის ინსტინქტის გამომჟღავნებაა.

1) იხ. «La Géorgie et la Domination Russe» par Léo Kéréssélidzé privat docent (გვ. 4. წინასიტყვაობა).

ეს წიგნი გამოცემულია შვეიცარიაში 1917 წელს და იპოება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში.

მარქსიზმი თანამედროვე ცივილიზაციის განადგურებას ლამობს. იგი მხოლოდ დამანგრეველი ფაქტორია და აღმშენებლობით თვისებას სავსებით მოკლებულია. ხოლო ყოველი ცივილიზაცია მარტოოდენ ერების ხანგრძლივი ღვაწლის და გენიის შედეგია ხოლმე. მისი დანგრევა კულტუროსან ერებს დიდი ხნით ბარბაროსობას დაუბრუნებს. ამიტომაც დღეს, ერების წიაღითგან აღიმართენ ძალები, რომელნიც იბრძვიან ეროვნული არსებობისათვის და თან ცივილიზაციის გადასარჩენად. ვინაითგან ერთი მეორეზედაა დამოკიდებული. ამ ძალებმა შეჰქმნეს მეცნიერული ნაციონალიზმი, რომელსაც ინტეგრალური ნაციონალიზმი ეწოდება და იგი უზარმაზარ ეროვნულ მოძრაობად გაშალეს. მოძრაობად, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო.

ინტეგრალური ნაციონალიზმი აღმაშენებელი ფაქტორია, ვინაითგან იგი ერის სიცოცხლის ძალის განხორციელებაა. ხოლო ერის სიცოცხლე მოქმედებაში გამოიხატება და უმთავრესად აღმშენებლობით მოქმედებაში.

ნაციონალიზმი, პატრიოტიზმი, ეროვნული შეგნების და გრძნობის სახით, დასაბამითგანვე არსებობდა. იგი მეტადრე მე-19-ე ს. გაღვივდა და რამდენიმე ერმა დამოუკიდებლობისათვის დიდის ენერგიით იბრძოლა. მაგრამ დღემდე ნაციონალიზმი მხოლოდ გრძნობის ფარგლებში ვითარდებოდა. მისი მატარებელი უმთავრესად საზოგადოების მაღალი ფენები იყვენ და ხალხურ მოძრაობად მხოლოდ იმ წუთებში იქცეოდა ხოლმე, როდესაც ერი გარეშე მტერს უპირდაპირდებოდა ან თავისუფლებისათვის საბრძოლველად გამოდიოდა. ხოლო იგი არ წარმოადგენდა მთლიან და ჩამოყალიბებულ ეროვნულ დოქტრინას. დოქტრინას, რომლის ორბიტო ფართეა და ეხება ერის შინაგანი ცხოვრების ყოველ მხარეს. მაგალითად, საქართველოში ნაციონალიზმი დღემდე განყენებულ შემეცნებად დარჩა. ამიტომაც იგი ინტელიგენციის წრეს ვერ გასცილდა. ხალხის მასებში ვერ გავიდა. მესამოცე წლების ბუმბერაზებმა დიდი ეროვნული სტატიკა გვიანდერძეს. სტატიკა, რომელზედაც დღეს შესაძლებელი ხდება ინტეგრალური ნაციონალიზმის დამყარება. მაგრამ მთლიანი ეროვნული დოქტრინა ვერ შეჰქმნეს. მათ ეს გარემოება არ ესაყვედურებოდა, რათგან მათ დროს ასეთი დოქტრინა არც სხვაგან არსებობდა. ამიტომაც იმ სოციალურ და ეკონომიურ პრობლემებს, რომელიც იმ დროს ქართველი ხალხის წინაშე საჭირ-ბოროტო საკითხებად იდგენ, მესამოცე წლების პატრიოტები ნაციონალისტურ საზომით ვერ მიუდგენ. ყველა ეს საკითხები, რომელნიც ბუნებრივად ეროვნული იყვენ, მათ ერთ ეროვნულ კალაპოტში ვერ მოაქციეს. პირიქით იგინი ამ საკითხებს კაცობრიობის თვალსაზრისით მიუდგენ. ე.ი. რეალური და კონკრეტიული ფიქტიურით და განყენებულით გაზომეს. ხოლო თავის დამაყრდნობელ წერტილებად ბლანკი, პრუდონი და რუსეთის გადარეული სოციალისტები აირჩიეს. მართლაც ნამდვილი პარადოქსი იყო ერთსა და იმავე ადამიანში მესამოცე წლიანების დიადი პატრიოტული გრძნობის მოთავსება სოციალისტურ და „ნაროდოვოლცურ“ მსოფლ-მხედველობასთან ერთად. ამ გარემოებამ მესამოციანებში შინაგანი ორჭოფობა და მათ მოქმედებაში ულოღიკობა წარმოშვა. ეს იყო მათი სულიერი დრამა. დრამა, რომელშიც გახვია უკვე მე-40 წლებითგან რუსეთის გონებრივმა გავლენამ ქართველი მოაზროვნე ადამიანი იმ ფაქტით, რომ მასში შეიტანა დუალიზმი. და ეს დუალიზმი რამდენ ქართველ მოაზროვნე ადამიანში დღესაც საშინელ კვალადაა დაჩნეული! მართლაც ნამდვილი დრამაა, როდესაც ადამიანს სული ქართული აქვს და გონება კი რუსეთის მიერ ხელშეხებული! ეს გახლდათ აგრეთვე დრამა ქართველი ერისა. მესამოცე წლიანების ამ დუალიზმით აიხსნება ის მოვლენა, რომ მათი პატრიოტიზმი (პოლიტიკის დარგში) განყენებულ იდეად დარჩა და მომქმედ პოლიტიკად არ გაიშალა. მათმა უზენაესმა გენიამ შეჰქმნა დიდი ეროვნული ღირებულებანი, მაგრამ მათმა პოლიტიკურმა აზროვნებამ კი ეროვნული გზა ვერ გაიკვლია. ამას მოჰყვა მეტად ხავალალო შედეგი: პოლიტიკურ ასპარეზზედ ბურთი და მოედანი მარქსისტებს დარჩათ. ეს უკანასკნელნი, სამოქმედოთ, მთლიანი გრძნობით და მთლიანი დოქტრინით გამოვიდენ: გრძნობითაც და მრწამსითაც ანტიპატრიოტები იყვენ. ამიტომაც თუმცა ყალბი იყო მათი აზროვნება და მავნე მათი მოქმედება, ხალხი მაინც მათ გაჰყვა. ეს არავის არ უნდა გაუკვირდეს. ისტორიაში მრავალი მაგალითებია, როდესაც საზოგადოება ბოროტ მომქმედთ და ავაზაკებს გაჰყვება ხოლმე. განა საშუალო საუკუნეებში ქრის-

ტიანულ მაღალ კულტურის წარმომადგენელ, კათოლიკურ ეკლესიას მილიონებით არ გადაუდგენ ევროპიელნი და „კუდიან ბებრებს“, ცრუ-მორწმუნით არ მიუდგენ, რამაც ინკვიზიტორული სასამართლო აუცილებელჰყო?

ვერც ეროვნულ-დემოკრატებმა სთქვეს ამ მხრივ ახალი სიტყვა. მათი პატრიოტიზმიც განყენებული დარჩა. ინტელიგენციის წრეებს ვერ გასცილდა. ხალხის მასებში ვერ შევიდა. მთელი მათი შემოქმედება მხოლოდ სოციალ-დემოკრატების ოპოზიციაში და პარლამენტალურ არჩევნების ბრძოლაში გამოიხატა. ხოლო მათ სულ მცირედი ეროვნული აზროვნებაც კი ვერ შეჰქმნეს.

ამ უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში ქართველმა პატრიოტიზმმა პრაქტიკული გამომჟღავნება მიიღო: ხალხი, იარაღით ხელში, დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. მაგრამ განა პატრიოტიზმი ესრედ შეზღუდულ ფაქტორად უნდა დარჩეს, რომ მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით განისაზღვრებოდეს? არა, პატრიოტიზმმა, ეროვნულმა იდეამ განიცადა დიდი ევოლუცია: მან მიაღწია ინტეგრალურ ნაციონალიზმს.

თანამედროვე ხანამ უკიდურესი სიმწვავით დასვა ყოველ, დამოუკიდებელ თუ დამოკიდებულ, ერისათვის არა მხოლოდ გარეშე საკითხები, არამედ მთელი შინაგანი ეროვნული პრობლემა, მეტადრე დიდი ომის შემდეგ გამოირკვა, რომ ყოველ ერს შინაგანი ჭია ღრღნიდა; რომ ეროვნულ სხეულს მომაკვდინებელი სენი შეჰპაროდა და ამ სენითგან განკურნება შინაგანი ცხოვრების გადახალისებას საჭიროებდა.

ერის ცხოვრება მხოლოდ გარეშე საკითხებით არ ამოიწურება. განა საქართველო რუსებთან ერთად მენშევიკებმაც არ ანგრიეს? და მენშევიკები ხომ შინაგინი მოვლენა იყო? და განა მენშევიკებმა იმიტომ არ მოიკიდეს ფეხი საქართველოში, რომ ქართული ეროვნული შინაგანი პრობლემები ჩვენმა პატრიოტებმა ეროვნულად ვერ გადასწვიტეს? „სადაც ანგელოზები არ არიან იქ ქაჯები ბატონობენო,“ ბრძანა ერთმა არაბმა ფილოსოფოსმა, და ეს სწორე აზრია. მსოფლიო ომის წყალობით მოპოებული დამოუკიდებლობა განა მენშევიკების წყალობით არ დავკარგეთ?

მომავალ თავისუფალ საქართველოში ჩვენს წინაშე, უწინდელზედ მეტი სიმწვავით, წამოიჭრებიან შინაგანი საკითხები. მენშევიკებს მზათა აქვსთ ასი წლის წინეთ შექმნილი მარქსის თეორია და, რასაკვირველია, შეეცდებიან ჩვენი შინაგანი ეროვნული პრობლემების ხელახლად მარქსისტულად გადაწყვეტას. ნუ თუ ქართველი პატრიოტები კიდევ ერთხელ მოუმზადებლად, უთეორიოდ უნდა შეხვდენ მენშევიკურ საშიშროებას? მესამოციარებმა მარქსისტებს დაუთმეს ბურთი და მოედანი, რათგან ეროვნული დოქტრინა არ გააჩნდათ, და ის მინიმუმი, რის შექმნაც მაინც შეიძლებოდა მათ ვერ შეჰქმნეს, რათგან თვითონაც სოციალისტური იდეებით იყვენ მოწამლული; ეროვნულ-დემოკრატები დამარცხდენ სასტიკად მენშევიკების მიერ, რათგან ვერც იგინი დადგენ წმინდა ეროვნულ ნიადაგზედ. მარქსისტებს დაუპირდაპირეს ის, რაც მარქსიზმის ნამდვილი ნიადაგია‘ ნამდვილი **დას**აყრდნობი წერტილი: დემოკრატიზმი.

ნუ თუ ყველა ამ გაკვეთილების შემდეგ კიდევ ერთხელ თეორეტიულად განიარაღებულნი უნდა შევხვდეთ საქართველოს შინაგან მტერს: ქართველ მენშევიკებს? ერთი რაიმე უნდა შეიგნონ ქართველმა პოლიტიკოსებმა: პოლიტიკურ ბრძოლაში უპირველესად ყოვლისა საჭიროა გარკვეული და მკაფიო თეორიის შექმნა. ბრძოლის ხელმძღვანელებმა უნდა იცოდენ რა გზით უნდა წავიდენ და რა გზით გაიყოლიონ ხალხი. გამარჯვება პოლიტიკურ ასპარეზზედ რჩება მკაფიო თეორიას და ხასიათის სიმტკიცეს.

ნუ თუ დღეს, როდესაც კულტუროსანი ევროპის რჩეულმა ნაწილმა შეჰქმნა ინტეგრალური ნაციონალიზმი ჩვენ არ უნდა ვისარგებლოთ ამითი და ქართველ ხალხს ეს დიდებული სხივი ახალი ცივილიზაციისა არ მივაწოდოთ? ნუ თუ უნდა დავრჩეთ იმ ძველ დემოკრატიულ პოზიციებზედ, რომელიც ყველგან მარცხდებიან და ინგრევიან?

დღეს სიტყვა ნაციონალიზმს სხვა შინაარსი აქვს. იგი უწინდელ ტერმინს აღარ უდრის. დღეს იგი განყენებული შემეცნება აღარ არის. არამედ ყველა ეროვნულ პრობლემებს შეიცავს. დღევანდელ ნაციონალიზმს მეცნიერულადა აქვს დამუშავებული შემეცნება სახელმწიფოზედ: ეკონომიურ სისტემაზედ, სოციალურ კლასთა ურთი-ერთობაზედ, ზნეობაზედ; სარწმუნოებაზედ და სხვ. ერთი სიტყვით იგი პრაქტიკულად ეხება ერის ცხოვრების ყოველ მხარეს და დამყარებულია ეროვნულ ყველა რეალურ ინტერესებზედ. ამიტომაც ეწოდება ინტეგრალური ნაციონალიზმი.

ინტეგრალური ნაციონალიზმის მთავარი დამახასიათებელი მხარე ისაა, რომ იგი იმდენად მოქნილია, რომ ეგუება ყოველი ერის განსაკუთრებულ პირობებს. ერთ ერში შესაძლებელია მან მონარქია აღიაროს, მეორეში რესპუბლიკა; ერთგან დეცენტრალიზაცია განახორციელოს, მეორეთგან ცენტრალისტური სისტემა. მიხედვით ერის ინტერესებისა და ეთნოგრაფიული პირობებისა. ერი ცოცხალი სოციალური ორგანიზმია და როგორც ასეთი ევოლუციის კანონებს განიცდის. იგი მოძრავია, ვით ცხოვრების მდინარე, ვინაითგან თვითონა ჰქმნის ცხოვრებას და ცივილიზაციას.

ინტეგრალურ ნაციონალიზმის ასეთი მოქნილობა მის ბუნებას და შინაარს სრულიადაც არ არღვევს. ხოლო მისი მთავარი შინაარსი შემდეგია: ეროვნული მთლიანობის პრინციპი; პრინციპი ეროვნული სახელმწიფოსი, რომელიც ერის ემანაცია და განსახიერებაა; პიროვნულ და კლასობრივ ინტერესებზედ მაღლა ეროვნულ ინტერესების დაყენება და სხვა.

როგორც ჩვენი ქვეყნისა, აგრეთვე მთელი მსოფლიო ვითარებაში ხდება ულრმესი ცვლილებანი. იბადება ახალი ცივილიზაცია, რომლის ფორმები და პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანიზაცია სავსებით განსხვავდება დღემდე არსებულისაგან. იჰედება ახალი ტიპი საზოგადოებისა. დგება ხანა ინტეგრალური ნაციონალიზმისა. მაგრამ შემდეგი უნდა აღინიშნოს ხაზგასმით: ახალი ცივილიზაციის წარმოშობა სრულიადაც არ გულისხმობს ძველის განადგურებას. პირიქით: იგი იყენებს ძველის მონაპოვარ იმ ღირებულებებს, რომელიც ცხოვრებისათვის გამოსადეგი და სასარგებლოა.

ცივილიზაცია, საზოგადოება, ე.ი. ერი 1) დამყარებულია მთელი რიგ-გარდუვალ ფაქტორებზედ. მათი დანგრევა ცივილიზაციის დანგრევას უდრის. ამ ფაქტორებს ინტეგრალური ნაციონალიზმი არამცთუ არ ანგრევს, არამედ აძლიერებს და თვითონვე ემყარება მათზედ. მაგრამ არსებობენ ცხოვრების ორგანიზაციის პრინციპები და ფორმები, რომელნიც დროებითი არიან და რომელთა პერიოდული გამოცვლა და გადახალისება საჭირო და აუცილებელია. თანამედროვე პრინციპები და ფორმები ცხოვრების ორგანიზაციისა დაძველდენ და საზოგადოების მავნე მოვლენად გადაიქცენ. ინტეგრალური ნაციონალიზმი მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელთ ანგრევს და ნაცვლად ჰქმნის ერის ორგანიზაციის ახალ სისტემას, უფრო მოქნილს, უფრო სამართლიანს და ცხოვრების ახალ პირობებთან უკეთესად შეგუებულს.

ჩვენ არამცთუ ღრმად გვწამს, არამედ უდავოდ მიგვაჩნია, რომ დღევანდელი მსოფლიო ბრძოლითგან ინტეგრალური ნაციონალიზმი გამარჯვებული გამოვა.

ლეო კერესელიძე.

---

# მიმოხილვა

საქართველოს წამება გრძელდება. აუწერელი გმირობით იბრძვიან პატრიოტთა ჯგუფები. არა ერთხელ მოგვესმა მათი ხმა შველისათვის.

ყველამ კარგად იცის ემიგრანტული ცხოვრების მძიმეზედ მძიმე პირობები არსებობისა. ლუკმა პურისათვის ილევა ჩვენი ძალ-ღონე. ცივს ოთახებში ცივდება ჩვენი სისხლი.

გვაპატიებს კი ჩვენი მიწა-წყალი, თუ დავსუსტდით და ვერ ვუშველეთ მათ, ვისიც ლუკმა ჩვენს ლუკმაზედ უფრო მწარეა, ვისიც ბინა ჩვენს ბინაზედ უფრო ცივია და ვის ფიქრთაც დარაჯობს მტარვალი?! არ გვაპატიებს, —დაგვწყევლის!

არის წუთები ერის ისტორიაში, როცა წყდება მთელი ეპოქის ბედი. ამას განვიცდით დღეს. და ვინც ამ საბედისწერო წამებს წრფელი გულით გრძნობს და განიცდის, ის არ შეცდება თავის მოვალეობის შეგნებაში. დღეს, მიუხედავად ძნელი პირობებისა, ყველა პატრიოტს მოეთხოვება მთელი მისი მოქმედება წარმართოს ამ მოვალეობის აღსრულებისაკენ.

შეუძლებელს ვერავინ ვერ მოსთხოვს ვერავისგან.

ამას და მხოლოდ ამას ქადაგებს თეთრი გიორგი.

უპირველესი საფუძველი პატრიოტული შეგნებისა არის მტრის ცნობა და უსაზღვრო ზიზღი მისდამი.

ამ მარტივ ნიშანს, —ეროვნულ ბრძოლისთვის აუცილებელს, ვერ მონახავს ვერავინ ქართულ პარტიების ნაფლეთებში. ეს ნაფლეთები კი ნაშთია გუშინდელი დამარცხებისა. ეს ნაფლეთები დღეს ძონძია იმ სიტიტვლის დასაფარავად, რომელიც საზეა ნათესაობისა რუსულ კომუნიზმთან. ხან კი მოგონება რუსეთის «ძლევა-მოსილ იმპერიისა» ხან გულკეთილი გრძნობა რუსეთის დემოკრატიისადმი, ხან აღფრთოვანება რუსული მწერლობით და ხელოვნებით. სამარცხვინო სიტიტვლე, მტრის სიყვარული, ამა თუ იმ ფორმით და ბოდიშით გამოხატული.

აი, სადა სძევს მიზეზთა მიზეზი საქართველოს დამარცხებისა.

საქართველოს დამოუკიდებლობა შეეწირა დემოკრატ-სოციალისტოგას და გახაბჭოებას რუსეთის ფარგალში.

რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის ვემზადებოდით, რუსეთის მთლიანობას ვიცავდით, რუსულ «კულტურას» ვადიდებდით, რუსულ ენას ვდარაჯობდით ჩვენ, «კავკასიის მაიმუნები»! და დღესაც კიდევ ვმაიმუნობთ! ვის არ უნახავს ქართულ კრებებზედ: რუსულის დამცველი, მაიმუნი მედროვე?!

ყველამ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრა რუსეთის დასაცავად, უძღების მტერს დიდებას, და გვაშინებს მისი «სიდიდით», ჩვენ სასტიკად ვებრძვით ასეთ ქართველებს, და მართალია, ამ ბრძოლაში არც დავზოგავთ, მაგრამ გულში კი ვატარებთ უსაზღვრო სიყვარულთან ყოველ ქართველისადმი, იმ დაუშრეტელ იმედსაც, რომ ის გამოიღვიძებს, მიხვდება ჭეშმარიტებას და დაგვეთანხმება.

ეს იმედი ჩვენში ძლიერია იმიტომ, რომ ჩვენს მეხსიერებას არ შორდება ნამდვილი სურათი ჩვენი წარსული დიდებისა, თავდები ჩვენი ერის იმ განსაკუთრებულ თვისებათა, რომელნიც მას აუცილებლად გაჭირვების დროს ყოველთვისთან სდევს, ურომლისოთ გამარჯვება შეუძლებელია. ამიტომაც ჩვენ ვქადაგებთ წინსვლას‘ განვითარებას, გაუმჯობესებას...

ამას გამოხატავს თეთრი გიორგი, ის არ არის გაყინული ერთ უძრავ წერტილზედ გუშინდელი შეცდომისა, ის არ ებღაუჭება, უცვლელად, წლითა განმავლობაში მკვდარ პარტიულ საზღვრედებს, ის ფუჭად არ ხარჯავს. ძალ-ღონეს ჭორ-კინკლაობისათვის, შუღლ-შფოთიანობისათვის.. ვინც თეთრ-გიორგელობს, მას აქვს პატრიოტული მოვალეობა ღრმად შეთვისებული, და ის უპირველეს ყოვლისა ქართველია, და არა ამა თუ იმ ბანაკის ჭორის-მფრქვეველი. მისი ზნეობის შინაარსი—საქართველოს ემბლემაა: ტაიჭზედ მჯდარი მხედარი, რომელიც სთელავს ვეშაპ-ჭორ-ღალატს და მიილტვის ჭეშმარიტებისაკენ. ამ ემბლემის მატარებელი ბეჭდვითი ორგანო ემსახურება ქართულ იდეას, რათგანაც თვით ეს იდეა საქართველოა, და მისი ემბლემაა თეთრი გიორგი. ამ ორგანოს თანამშრომელნი, რასაკვირველია, ადამიანნი არიან, ცოდვილნი ადამიანნი. მაგრამ, რამდენადაც ადამიანს შეუძლია დაუახლოვდეს უზენაეს სამართლიანობას, ეს სამართლიანობა ამ თანამშრომელთა მიზანია. აი სად არის საიდუმლო ჩვენი ორგანიზაციის შეურყეველი დისციპლინისა. ამიტომაც ჩვენ ორგანოში მკითხველი მუდამ ნახავდა ყოველ ქართველ საქმიანობის ხელის შეწყობას, განურჩევლად იმისა, ვინც არ უნდა იყოს მის სათავეში. ამიტომაც ყოველ ქართველს თამამად ვიცავდით, რა ბანაკსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, თუ მას [illegible] სამართლიანობა. ამას ჩვენ ვმაზით: [illegible] ყოვლისა. მაგრამ ყოველ მავნე [illegible] ლებით, რათგანაც ჩვენი მიზანია [illegible] რი გაძლიერება.

ქართულ პოლიტიკისათვის მკაცრად და სასტიკად ვიბრძვით, მაგრამ არა გრძად და შეუგნებლად, რათგანაც კარგად გათვალისწინებული გვაქვს და გვესმის, როცა ბ. ლეო კერესელიძე ამბობს: «მე კარგად ვიცი, რომ სისასტიკეს ყოველთვის ცალი ფეხი უსამართლობის საზღვარზედ უდგია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ სამხედრო თუ პოლიტიკურ ბრძოლაში უსამართლობაზედ უფრო დიდი დანაშაული სისუსტეა»-ო, ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ადამიანის პიროვნულ ცხოვრებას არასდროს არ შევხებივართ ეს ჩვენ დაგვითმია პარტიულ ნაფლეთებისათვის, რომელთა ერთად ერთი ბრძოლის საშუალება ჩვენს წინააღმდეგ იყო და დარჩა: დაბეზღება, ცილის წამება და ცდა პიროვნების დამცირებისა.— ეს ჩლუნგი იარაღი, ძველი და პრიმიტიული, უძლურია გარკვეულ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. — მეჭორე მუდამ ვირზედ ზის და თეთრი გიორგის ვერ შეებრძოლება,—ძლიერი იდეის მატარებელი ორგანიზმი მუდამ იმარჯვებს თუ მას არ დაუპირდაპირეს სხვა უფრო ძლიერი იდეა. ვფიქრობთ, რომ იდეათ არ ჩაითვლება არც ემიგრაციაში გამართული მეჭორეთა დღეები, არც რომელიმე მურიანი ლიდერის «პერმანენტული» (?) სისუსტე, რომელიც დღეს, როგორც გუშინ რიგულ ზრიგებში გამოიხატება: ვისმე, მასზედ სუსტს, გააბრიყვებს ხოლმე და გამოუშვებს საბრძოლველად, თვით ზის «ლაღი და წყნარია» მაღლობზედ, ციხე სიმაგრეში და ეუშაგობს» ოდიოზურად (?)...

ჩვენს გარშემო, ვხედავთ პარტიათა ნგრევას, პარტიულ ნაფლეთების ბელადთა განმრავლებას...თუ დავუკვირდებით; მათი ქადაგება გოლოს და ბოლოს ერთი და იგივეა: «რეალური პოლიტიკა», «შეგუების უნარი»...მაშ რისთვის ჩხუბობენ? «განაღა ჰსთქვას ერთი, ორი, უბზგავსო კია შორი-მორი, მაგრამ იტყვის ჩემი სჯობსო, უდიდრო ... ხ, ჯითა ჯორი»! ჩხუბობენ რათგანაც ყოველ მათგანს აქვს საკუთარი შეგუების უნარი, რომლის გამორკვევაც ან არ ძალ-უძს; ან კიდევ რცხვენია: რუქაიასაც ჰქონდა შეგუების უნარი!.’ ზოგიერთი ათ-წელიწადზედ მეტია, რაც მოთმინებით უცდის ამ ძველ ბელადებისაგან რასმე გარკვეულს და ნათელს... «ჩვენ მათიცა გვიამბის, რაცა ოდენ სთქვან ნათლად»! პოლიტიკური მოქმედება, რომელიც მყრდნობა შეგუების უნარს და მოკლებულია გარკვეულს იდეოლოგიას — მუდამ რუქაიობაა! წარმოუდგენელია არის რომელიმე ჰარამხანაში რუქაითა შეთანხმება და მშვიდობიანი თანამშრომლობა... და აი ჩხუბობენ ჩვენი შეგუების პოლიტიკის ლიდერები.

მაგრამ დავუთმოთ ჩვენი ძველი ბელადები ჯამაგირების დამრიგებელთ, და გადმოვხედოთ მსოფლიოს. რასაკვირველია, ჯამაგირის პოლიტიკოსები ყოველგან არსებობენ, მაგრამ მსოფლიოში შევამჩნევთ აგრეთვე გარკვეულ იდეებს და გარკვეულ იდეალებისათვის ბრძოლებს...ადვილად დავრწმუნდებით აგრეთვე, რომ ისტორია იწერება ამ ბრძოლებით და ამ იდეებით...გამოაშკარავდება რა ჩვენთვის მთელი ფილოსოფია აზრთა მსვლელობისა, წინსვლისა და გამარჯვებისა, ადვილად დავეთანხმებით ჩვენ სახელოვან მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს, რომ: «ყოველი ახალი მოძღვრება თანდათან ვრცელდება და მხოლოდ სათანადო მომზადების შემდეგ აძერხებს ხოლმე გაბატონებას».

დღეს ჩვენ თვალწინ იშლება დიდი სურათი იდეათა შეტაკებისა, მისწრაფებათა შეჯახებისა.

მატერიალისტური მსოფლ-მხედველობა, რაც უნდა პარადოქსალური იყოს, ქმნის იდეურ მოძრაობას. ამ მოძრაობის ნათლია, მოხუცებული დემოკრატიზმი, არ ეთანხმება თავის შვილობილს სოციალიზმის ამნაირ სწრაფ განხორციელებაში და უკმაყოფილო მისი ახალგაზრდული სიცელქით, —იცავს **statu quo**-ს დღევანდელი თავისი მიზნებისა და პროლეტარიატს გარშიყება ნახევარი ზომებით.

იყო დრო, როდესაც სხვა და სხვა ერების პატრიოტ-ნაციონალისტებმა თავიანთი ნიჭიერი ოპორტუნისტული მოქმედებით შესანიშნავად ისარგებლეს დემოკრატიზმ-ლიბერალიზმით თავის ეროვნულ იდეალის განსახორციელებლად (გარიბალდ-კავურები და ჭავჭავაძე-დეკანოზიშვილები). მაგრამ დღეს მოხუცებული დემოკრატიზმი შეტევის მაგიერ თავ-დაცვას აწარმოებს. პირიქით გაბედული კომუნიზმი, თავისი ეროვნული პოლიტიკის ოპორტუნიზმით, თვითონ ერებს უკმაყოფილო და დაჩაგრულ ერებში მოკავშირებს (ჩინეთ-სპარსული პოლიტიკა).

მაგრამ წავიდა ის დრო, როდესაც ნაციონალიზმს სჭიროდებოდა ლიბერალურ-დემოკრატიულ პირბადე. მამულიშვილებმა მონახეს სრული ნაციონალიზმის გზა. ამ გზაზედ დავაყკადებულნი თაყვანს არ სცემენ არც კაპიტალიზმს, არც კომუნიზმს. წარმოიშვა გარკვეული ეროვნული დოქტრინა, ნათელი ეროვნული იდეოლოგია. იმ ასპარეზზედ, რომელზედაც სრული მარქსიზმი, კომუნიზმის სახით, შეეჯახა მარქსის დემოკრატიულ და დაბერებულ თაყვანისმცემლებს —ანაზდათ ახალი მხედარი, რომლისა აბჯარცმულობაც გამოჭედილია საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული არსებობისა, რომლის ხმალი სჭრის გმირულად ეროვნული ადათის დასაცავად, რომლის შინაარსი არის: ინტეგრალური ნაციონალიზმი.

1924 წლის აჯანყების შემდეგ ქართველთა ახალგაზრდობამ მწვავედ იგრძნო მთელი სინამდვილე საქართველოს მდგომარეობისა. ახალგაზრდობამ დაინახა დღევანდელი შეცდომები, შეიგნო წარსული და აწონდაწონა. გრძელი, მავნელი, ჩინ-მედლიანი ლანდი გადაგვარებისა და უკანასკნელ წელთა ბედ-კრული, უგზო-უკლოდ ხეტიალი ვერ მოხიბლავდა ამ თაობას...

ინტეგრალურ ნაციონალიზმის მხედარი ჯერ ძლივს მოსჩანდა პოლიტიკურ ჰორიზონტზედ; დემოკრატიისა და კომუნიზმის ბანაკები დასცდენ მას დაცინვით.

ახალი თაობა ჩაფიქრდა; ის საკუთარი თავზედ განიცდიდა ყველაფერს; მან კარგად იცოდა, რომ მიუხედავად საშინელი მსხვერპლისა, კომუნისტთა ხელში, ქართული პატრიოტიზმი მაინც წინ წაწეულიყო და შორს, უკან სტოვებდა რუსული რევოლიუციით შეგნებულს ეროვნულ მქრთალ განცდებს. და ამ კომუნიზმს ახალგაზრდობა არა თუ შეებრძოლა იარაღით ხელში, არამედ აჯანყების დამარცხების შემდეგაც არ წაყვა ჯეშაბელებს, რომელთა შეგუების უნარი და რეალური პოლიტიკა გაცილებით უფრო ძლავრი იყო ვიდრე დღევანდელ დემოკრატ-ზოგავწეთა. პასუხი იყო გარკვეული: «ომიშის დროს მოგიტუნდათ ლომებს მკლავები, მტერს გამარჯვებულს დაეფინეთ ფეხებში ზიდათ: აჯობანებდა გაგვთხარათ აქ საფლავები, ახალგაზრდობა

---

1) ერთ ერთ მომავალ წერილში ჩვენ განვმარტავთ, რომ საზოგადოება ნიშნავს ერს და შეცდომაა ამ სიტყვის სხვა შინაარსით ხმარება.

დღლარებზედ არ გაგვყიდათ». ნაფიქრ-ნაწვალები ახალი თაობა მიხვდა, რომ მისი საშველი იყო მხოლოდ და მხოლოდ ახალ მოძღვრებაში. ჯერ გამოუცდელი ახალგაზრდობა ეძებდა რჩევას, დახმარებას და დაუკაკუნა ძველი ბელადების კარებსაც. მაგრამ ჯაბერილი ბელადები, რომელნიც არ წაყვნენ ვაშაპელებს და სხვაგან ეძებდნენ სახსარს, როგორ ითანამშრომლებდენ ბავშებთან «და დავრჩით ობლად, გაჩენილნი ანთებულ დროში», ამბობს ერთი ბავშთაგანი. ახალგაზრდათა წრეში იმდენიც იყო ძლიერი: «და თუმცა მამულს აოხრებულს, მიგდებულს ობლად, ჩვეს სამარცხვინოდ, გინმურ ქუხლის ნაკვალი აზის, მაგრამ მე მჯერა, რომ მომ ვალს სანუგეშებლად მოევლინება თამარის მზე და ჯვარი ვაზის», და «წამოიჭრება საფლავითგან პატარა კაზი, იმიშვლებს მახვილს და დარაზმავს სალმრად ჯარებს». «ჩვენ გმირი გვინდა ქირ-ვარამის მედგრად ამტანი, თორემ ლაჩრებით მტრის ნადიმიც ხომ არის სავსე». 1)

ეს გრძნობები ჩამოყალიბდენ გარკვეულ პოლიტიკურ ფორმაში, მათ მიეცათ ორგანიზაციის სახე; მოისმა პატრიოტული საყვირი: «გული გავლესოთ გრძნობითა, სადაა დაჭკრავს ნაღარა; ერთი გავსძახოთ ქართულად, ხვალ არ გვეცლება, აღარა»...1926 წელს, აგვისტოში, გამოვიდა თეთრი-გიორგის გაზეთის პირველი ნომერი.

განვლო ექვსმა წელმა. ახალგაზრდობა არ შემცდარა: მსოფლიო ფარგლებში ახალი მოძღვრება ძლიერდება; თეთრ წვერა დემოკრატიზმი, ისედაც დაღლილი. გზა დაკარგული.განიცდის ბევრნაირ კრიზისებს საშინაო მოშლილობისა, და არა თუ იზიარებს სოციალისტურ დებულებას რუსულ საქმეებში ჩარევისა, არამედ კაპიტალისტურად ეხმარება საბჭოებს ორ სკამზედ მჯდომი, ის ხან აქეთ, ხან იქით იყურება, ხან სოციალიზაციას აძლიერებს, ხან კორპორაციულ სისტემას უარშიყდება; ფაშიზმმა მკაფიოთ დაანახა ყველას ათი წლის მუშაობის ნაყოფი: კორპორატიული სისტემის შესანიშნავი შენობა. თუ წინად თეთრი გიორგი იყო პირველი მერცხალთაგანი ახალი მოძღვრებისა, დღეს სხვებისთვისაც უკვე ნათელია, რომ კულტუროსანი კაცობრიობა სხვანაირად ვერც შეებრძოლება ცივილიზაციის დამანგრეველ კომუნიზმს.

ახალი მოძღვრება უპირდაპირებს:

1) პროლეტარიატის ინტერნაციონალიზმს—ინტეგრალურ ნაციონალიზმს;

2) სოციალისტურ სახელმწიფოს—ეროვნულ სახელმწიფოს;

3) კლასთა ბრძოლას და ცალ-მხრივ სინდიკატებს—კორპორატიულ სისტემას.

თეთრი გიორგის იდეები ზედმიწევნით შეეფერებიან საქართველოს წარსულს და დღევანდელ მდგომარეობასა; საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი ეროვნული პოტენცია, დღეს თ. გიორგის მოძრაობად ქცეული, უთუოდ შექმნის უშესანიშნავეს ეროვნულ სახელმწიფოს.

თეთრი გიორგი სდგას დიადი დასაწყისის წინაშე. მან იცის, რომ ბრძოლა მხოლოდ იწყება; მან კარგად იცის, რომ კიდევ ბევრი შრომა და ენერგია დაიხარჯება, ვიდრე ის შეკრავს ყველა საუკეთესო მამულიშვილთ შეგნებით და ეროვნული დისციპლინით; მაგრამ თეთრი გიორგიმ ისიც იცის, რომ მას აქვს უკვე შეთვისებული ეროვნული დოქტრინის არა თუ აუცილებლობა, არამედ ამ შეგნებას მაგარი სამირკველი ჩაუყარა, მას უკვე აქვს განვლილი და გამარჯვებული გზა. ამ გზაზედ მოწინააღმდეგეები მას ვერ დახვდენ შესაფერი გამბედაობით, საკადრისი ლოღიკური მსჯელოგით. მეჭორეთა ჯარი გაიფანტა ადვილად. თეთრი გიორგი მუდამ არის მზად შეებრძოლოს ყველა ჯიშის მოწინააღმდეგეთ. და ამის მოლოდინში ის ზვეწნით კი არ ეძებს მოკავშირეებს, არამედ გულახდილად უყივის მამულიშვილთ: აღასრულეთ თქვენი მოვალეობა. უშველეთ ქართველ ერს ყველაფრით, რითაც შეგიძლიათ.

გიორგი საფარელი.

1) იხ. «თ. გ.» N1, 1926 წ.

## ერთი უმსგავსოების შესახებ

ამ წელს პარიზში არა ჩვეულებრივი მხიარულება სუფევდა ბავშთა დღეობზედ 25 დეკემბერს, შობის ხესთან. დარბაზი სავსე იყო ქართველ ბავშებით. მრავალი იყო ეროვნულ ტანსაცმელში: ჩოხებით, ქულაჯებით, ახალოხებით, ქალამნებით. მათი თამაში და ქრიაშული დამსწრეთ ავიწყებდა ყოველდღიურ ჭირვარამს და მას წინ უშლიდა მინიატურას ცოცხალი საქართველოსი. ის იყო არა მარტო ბავშთა, არამედ ეროვნული ზეიმის წუთი, რათგან უცხო სკოლებში გაბნეული ქართველი ბავშები, აქ, ამ დღეს იკრიბებიან, ხვდებიან ერთმანეთს მშობლიური ღიმილით, თამაშობენ, ცელქობენ და ურთიერთისა და და სამშობლოს სიყვარულს აღუძრავენ ერთმანეთს.

ამ მომხიბლავი სურათის დროს დარბაზში შენიშნავდით, რომ ვიღაცას მოეტანა გასავრცელებლად რუსული საბავშო ჟურნალი „Ogonki“. ჩვენ ფრიად აგვაღელვა ამ სურათმა, გვინდოდა ის მომტანისთვის თავზედ გადაგვეხია, მაგრამ ქართველ ბავშთა უსაზღვრო სიყვარულმა და დამსწრე საზოგადოების პატივისცემამ შეაჩერა ჩვენი განზრახვა.

ჩვენ უცბად რაღაც ვიგრძენით, გადავშალეთ ეს ჟურნალი და აი, საშინელება ვნახეთ: ჟურნალი დაწერილი თითქოს ბავშებისათვის, წარმოადგენს რუსული პატრიოტიზმისა და მეტიც, იმპერიალიზმის გამომჟღავნებას. ვისაც შემოწმება სურს ვსთხოვ წაიკითხოს მე-12-ე გვერდი. აქვე არის ცალკე ქართული განყოფილება („გრუზინსკაია სტრანიჩკა“), თამარის სურათით და მისი ცხოვრების შესახებ სრულიად დამახინჯებული წერილი, ქართული ლეგენდები და სხვ.. ამ ჟურნალის მიზანი და ასეთი გეგმა ასეთ პოლიტიკურ სურათს გვიშლის: რომ დიდი რუსეთი შესდგება პატარა ნაწილებისაგან და საქართველოც აქ ერთ პატარა ნაწილად არის გამოცხადებული,

უკანასკნელ გვერდზედ როგორც დევიზი აწერია: „ყველაფერი ბავშთა ფრონტზედ, გადაგვარებასთან ბრძოლისათვის.“ და ქართველ ბავშთა ქართველობა ამ ჟურნალის აზრით, უდრის გადაგვარებას, რათგან ისინი ნაწილნი არიან რუსეთის და დღეს კი მათ აღარ აქვთ ის თვისებანი, რაც მათ ხდის რუსებად. რათგან ჟურნალი ასე სვამს კითხვას: „ვინ არის რუსი? რუსი არის ის' ვინც იცის სამშობლო ენა, დიდი ხალხის, დიდი რუსული ენა; ვინც იცის სამშობლო ლიტერატურა, რუსეთის დიდი ლიტერატურა, სახელგანთქმული მსოფლიოში.“ (იხ. გვ. 12). აი რა ყოფილა დამახასიათებელი რუსობისა და ამ გადაგვარებულ „რუს“ ბავშებს, ე-ი. ქართველებს, რათგან ის აღარ გააჩნიათ, ამიტომ ჟურნალი იბრძვის მოუპოვოს მათ ეს ბედნიერება. ის არის ნამდვილი ბრძოლის ორგანო ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც რუსობისაგან განდგა და საკუთარი ეროვნული კერა უნდა გააჩაღოს.

მაგრამ არ იკითხავთ ვინ არის რუსეთის პატრიოტიზმის ამგვარი შეუდრეკელი მებრძოლი?! საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ ერთი ლიდერი!

ჟურნალის უკანასკნელ გვერდზედ ნახავთ ჟურნალის მუდმივ თანამშრომელთა სიას, რომელთა შორის მესამე ადგილს დასახელებულია ქართველი მოქალაქე ბ. რ. გაბაშვილი (რასაკვირველია წერილებსაც აწერს ხელს). ეს ის მოქალაქეა, რომელმაც ამ ორი წლის წინ ამცნო ქართველ საზოგადოებას მისი 25 წლის «სტაჟი» ეროვნულ მოღვაწეობის სარბიელზედ (ახლა 27 წელი შეუსრულდა). და აი, ახლა აღნიშნულ ჟურნალის იდეოლოგად „ქართული ნაწილს“ ხელმძღვანელად გვევლინება ის. ის გამოდის საჯაროდ, როგორც დამცველი „მთლიანი და განუყრელი“ რუსეთისა და მეტიც, მებრძოლად მისი დაცვისა ის, ებრძვის „რუს“ ბავშთა გადაგვარებას და ურჩ ქართველ ბავშებს მათ ეროვნული შეხვედრის დროს შობის ხესთან კიდევ ერთხელ ახსენებს ჟურნალ «Ogonki»-თ მათ შეცდომას და მოუწოდებს დაუბრუნდენ მათ „სამშობლო“ კერას, რუსეთს

ქართველი სადამდის უნდა იყოს გადაგვარებული და გაბოროტებული, რომ ამგვარ შხამს ანთხევდეს ნორჩ ქართველ ბავშთა მვირფას კრებულში. ის მაინც როგორ·არ შერცხვა რომ იმავე კრებულში დაბეჭდა სვანური ლეგენდა, რომელშიც ნახავთ ადგილს, მხილებას გადაგვარებისას. ლეგენდაში ნათქვამია: —ერთხელ სვანეთში დიდი სიმშილობა ჩამოვარდა. უხუცესმა სვანმა დახმარებისათვის მიმართა შეძლებულ ვაჭარს და მათი ამგვარი უბედურების მიზეზად აი რას ასახელებს: „ჩვენი ცოდვები მომდინარეობენ იქითგან, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო ნაკლებ გვიყვარდა და მთელი ჩვენი ძალ-ღონე მის სამსახურს არ შევსწირეთო“ ამბობს მოხუცი. (იხ. გვ. 8). ამან მაინც როგორ არ გამოიწვია სირცხვილი ქენჯნა „გრუზინსკაია სტრანიჩკას“ რედაქტორში.. სიმართლეს ვერ დათრგუნავს ცბიერება, ჩვენს დიდ ეროვნულ მოძრაობასა და ქართველთა სამშობლოს სიყვარულს ვერ შებღალავს რუსების მიერ გროშებით მოსყიდულ ქართველთა მოღალატური მოქმედებანი და დღეს იქნება თუ ხვალ, მსგავსად აღნიშნული ლეგენდისა, ქართველი წერი შესაფერ ჯილდოს მიუძღვნის მათ.

აი, ამგვარ სამარცხვინო ამბებს გაიგებს კიდევ ქართველი მკითხველი. ჩვენ კი გვინდა ავხსნათ, რას ნიშნავს ეს აქტი.

მთელ მსოფლიომ იცის, რომ დღეს რუსეთ საქართველოს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამოცხადებული-ბრძოლა გრძელდება და ისტორიისათვის უცნობია ისეთი მაგალითები, როდესაც ორ მებრძოლ ბანაკთა შორის, ერთის წარმომადგენელნი, და ისიც ეროვნული მოღვაწენი, მოპირდაპირის, ამავე დროს პატრიოტულ ჟურნალებში თანამშრომლობდენ! ასეთები ყოველთვის და ყველგან ცხადად ებოდენ მოღალატეებად და ერი მას სათანადო სასჯელით [illegible] დოებდა. მაგალითად, გერმანია—საფრანგეთის ომის დროსგანა რომელიმე ფრანგი დასწერდა [illegible] თვით ფრანგი სოციალისტებიც კი არ [illegible] გების სოციალისტების ლიდერმა, Franck THOMAS-მა [illegible] იკისრა მუნიციების (იარაღისა და [illegible]) როგა და ღირსეულადაც გაუძღვა მას, ხოლო ის ფრანგები, რომელნიც ღალატით თანამშრომლობდენ გერმანულ გაზეთებში (ესენი კი იყვნენ 3-4, უცხოეთში გახიზნული პირები), სნფრანგეთმა გაასამართლა და ზოგს სიკვდილი და ზოგს სხვა სასჯელი მიუსაჯა. ასევე ხდებოდა გერმანელებშიც. და ასე ხდება ყველა ხალხებში. როცა ერთი ერი ებრძვის მეორეს, ის ყველაფერში დაპირისპირებულია მოწინააღმდეგეებთან, ეს არის ყველაზედ მძლე იარაღი ბრძოლისა და დიდი თავდები გამარჯვებისა. ხოლო ვინც ამ საერთო სულისკვეთებას აუხვევს ბრძოლის დროს და სხვა გზას დაადგება, ის იწოდება მოღალატედ.

ამ ჭეშმარიტი საზომით რა შეიძლება დავარქვას ბ.რ. გაბაშვილის საქციელს?' მის ცოდვას კიდევ მეტად ამძიმებს ის, რომ ერთის მხრივ, ის ჟურნალი, რომელშიც ის თანამშრომლობს, არის რუსულ-პატრიოტული, ებრძვის ყოველრუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერთა დამოუკიდებლობის იდეალს და ამის ერთ-ერთ მებაირახტრედ ბ.რ. გაბაშვილი გამოდის. მეორე მხრივ ბ.რ. გაბაშვილის დანაშაულს ზრდის მისი როლი (ყოველ შემთხვევაში-პრეტენზია) დღეს ქართველ საზოგადოებაში. ეს, რაც შეეხება მას პიროვნულად.

ეს ამბავი ჩვენ კიდევ გვიხსნის ერთ საიდუმლოებას რომ ბ. რ. გაბაშვილი ამ ჟურნალის მუდმივი თანამშრომელია და არა შემთხვევითი, ეს ამტკიცებს, რომ აქ საქმე გვაქვს სრულიად მოფიქრებულ და შეგნებულ აქტთან და უკანასკნელი გვაგულისხმებინებს, რომ თვით ის ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის ბ. რ. გაბაშვილი, იმყოფება რუსებთან კავშირში და ამ სამარცხვინო საქმის მომქმედნი სხვებს უყიყინებენ «პატრიოტიზმი გვეცილებითო». ამის შემდეგ რომელი ზნეობრივი უფლებით აცხადებენ ეს ადამიანები, რომ თეთრი გიორგი სახელს გვიტეხს ეროვნულ მოღვაწეობაშიო? (იხ «სამშობლო» N12) იქნებ ქართულ ეროვნულ მოღვაწეობად მტრებთან, რუსებთან თანამშრომლობა მიაჩნიათ! მაშინ რაღა გასაკვირი არიან ორჯონიკიძე-ორახელაშვილები! ჩვენთვის განა სულ ერთი არ არის რომელი რუსეთი გაგვანადგურებს, თეთრი იქნება ის თუ წითელი!? დიახ, თეთრმა გიორგიმ მათ ამგვარ «ეროვნულ» მოღვაწეობას მართლაც გაუტეხა სახელი. მან სასტიკად დაჰგმო მათი ის «ეროვნული» მოღვაწეობა, რომელიც მხოლოდ მტრის ფეხების ლოკვაში გამოიხატება. და რათგან თეთრმა გიორგიმ მათ საბოლოოდ დაუფართხო რუსულ ჭანგებზედ მომდგრალი ბუსბუსები, ამიტომ არის, რომ ისინი თუმცა არ «კადრულობენ» თ.-გიორგისთან კამათს, მაგრამ ბოღმას რომ ვეღარ აკავებენ, პერიოდულად რამდენიმე სიტყვით მაინც, ხან გადაკვრით, გადმოაფენენ ხოლმე თავიანთ ორგანოში.

ამ რუსის ინტელიგენტებს კიდევ აქვთ უფლება თ.-გიორგის ხელმძღვანელების ლანძღვა გინებისა, ამ ამბების შემდეგ?! იმ თეთრი გიორგის, რომელმაც სასტიკად დასვა რუსებისაგან სრული ფსიქოლოგიური გამიჯვნის საკითხი, რათგან მას სწამს, რომ უამისოდ შეუძლებელია განმანთავისუფლებელი ბრძოლა. ამის მისაღწევად ის იბრძვის ყოველგვარი საშუალებებით. ის სცდილობს ძირფესვიანად ვმოსპოს სპობს საუკუნით ჩვენში დანერგილი რუსული ტრადიციები, ენა მათი, ზნე-ჩვეულება და ყველა მავნე ელემენტები. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელოვა დღესაც ერთმანეთში რუსულად ლაპარაკობს და აღნიშნულ მავნებლობათ ხელს უწყობენ. მათ ამ უმსგავსო მოქმედებასთან ჩვენ არ გვავიწყდება ის უღვთო გედი, რომელიც მათ მიმდევარ ახალგაზრდებს ხვდათ წილად, რომელთა სული და გული ჩვენგან განუყრელია; რომელნიც იმავე ალით არიან ანთებული, როგორც ჩვენ, ხოლო დღეს შეგნებით თუ შეუგნებლად მიყვებიან მათ ხელმძღვანელთა დამღუპველ გზას. და ისიც ვიცით, რომ მათი ახალგაზრდული სხეული ჩვენთან ერთად სიამაყით დაიწვის მამულის განთავისუფლების სამსხვერპლოზედ. ეს ვიცით რათგან ჩვენ მეგობრებთან ერთად ჭიქებით ხელში, არა ერთხელ მიგვიცია სიტყვა ერთმანეთისათვის. ამაში ეჭვი მაშინ არავის შეგვპარვია, ხოლო ახლა რომ ის საქმითაც დავამტკიცოთ, ამისთვის ჩვენ მივმართავთ საერთოდ ქართველ ახალგაზრდობას, გამოსთქვას თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ და შემდეგ ვეკითხებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აღნიშნული (ასათიანის) ჯგუფის ახალგაზრდებს: იზიარებენ მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელის ამგვარ საქციელს, თუ არა. ველით პასუხს. თუ მივიღებთ მას ჩვენთვის ყველაფერი გამორკვეული იქნება, თუ არა მაინც გამოირკვევა, რომ აღნიშნულ მოქმედებას ისინი ადასტურებენ.

ალ. მანველიშვილი.



## „უსაბუთოდ არას ვიტყვი ზინდ მას ჩობდეს მტერთა ჯინი.“

«სიტყვის მალია საბუთია»-ო. ეს სიბრძნე ჩვენ წინაპართა მიერ თქმულა. მეც თუ მათი სიბრძნის კვალს არ გავყვე უკეთესი სად ვიპოვო, ხმელეთიც რომ მოვიარო? ამიტომ აქ მინდა საბუთებით გაუმაგრო ზურგი მას, რაც მენშევიკების პატრიოტიზმის შესახებ გაზ. «თ.გ.» მე-57-ე ნომერში მოგახსენეთ.

«კაცი საქმით დაფასდებისო»-ო, ნათქვამია. დიახ, და აი რას ლაპარაკობენ საქმენი ჩვენი მენშევიკებისა.

ს ა ბ უ თ ი  პ ი რ ვ ე ლ ი . რუსის იმპერატორის დროს საქართველოს მეფის ნაცვლები მართავდენ. მეფის ნაცვალი, ნიშანი და განსახიერება იყო რუსეთის საქართველოზედ ბატონობის. უდავოა, რომ რუსეთი საქართველოს დაუძინებელი მტერი იყო, რათგან მან ჩვენი ქვეყანა სისხლითა და ცეცხლით დაიპყრო და მახვილის ძალითა ფლობდა მას. რუსეთის ჩვენზედ ბატონობა სამართლის ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული იყო. ჩრდილოეთის ეს ნადირი ჩვენს ქვეყანაში ძალ-მომრეობით შემოიჭრა. და ხომ იმავე ჩვენ ბრძენ წინაპართაგან ვიცით: «სადაც ძალა შევა სამართალი განითგან ავაო»-ო. თუ რუსეთი და მისი იმპერატორი საქართველოს მტრები იყვნენ, რასაკვირველია, მტერი იყო მეფის ნაცვალიც. «მმაკიც და მისი მოციქულიც ორთავე ქვეყნის მტერია»-ო. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ხვალ რუსეთში რესპუბლიკა დამყარდა და იმპერატორის ალაგი პრეზიდენტმა დაიჭირა; ეს უკანასკნელი საქართველოს

მთავარ მართებლად უმაღლესს კომისარს გამოგზავნის. რა გამოიცვალა? არაფერი. ერთი და იმავე მოვლენა სხვა სახელით მოინათლა. ხოლო იმავე მყრალი რუსეთის ბატონობა ისევ დარჩა. «მტერმა გინდა ალია დაიჭიროს გინდა ბალია»-ო. «გინდა» რუსმა მგელმა შემჭამოს გინდა მავმა»-ო, ნათქვამია. ესეც წარმოვიდგინოთ, რომ რუსეთის რესპუბლიკის მიერ წარგზავნილი უმაღლესი კომისარი ქართველია. ეს პიროვნება ხომ საქართველოს მტერი იქნება და მაშასადამე მოღალატე და მუხანათი? ქართველი თავადები ისახანი და ანდუყაპარი, რომელნიც საქართველოს სპარსეთის სახელით განაგებდენ, ჩვენმა ისტორიამ ხომ მოღალატეებად გამოაცხადა? მოვახსენებთ წარმოვიდგინოთ მეთქი... თითქოს წარმოდგენა გვესაჭიროებოდეს და დღეს ეს მოვლენა ჩვენი ცხოვრების მწარე სინამდვილეს არ შეიცავდეს. რუსეთის სოციალისტური რესპუბლიკის სახელით დღეს საქართველოს ორჯონიკიძე და ორახელაშვილები რომ განაგებენ განა იგინი ღუდის კერძები არ არიან? თავში კეტი დამარტყით თუ ერთმა პატიოსანმა ქართველმა მაინც ამისი საწინააღმდეგო რაიმე სთქვას. ეს ჩვენი დღევანდელი სინამდვილის მაგალითია. ახლა თვალი მივაპყროთ გუშინდელი სინამდვილის სურათს. 1917 წელს რუსის ხელმწიფე ტიკინასავით ტახტითგან გადმოაგდეს, და მის ალაგას, მეორე ტიკინამ, კერენსკიმ, მოიკალათა. სოციალისტმა კერენსკიმ მეფის ნაცვალი სამსახურითგან გადააყენა და საქართველოზედ რუსეთის ბატონობის განსახორციელებლად, თავისი ამხანაგები, ქართველ მენშევიკები წარგზავნა. ამ ვაჟბატონებმა საქართველო რუსეთისადმი დიდი ერთგულობითა და რუსეთის სახელით მართეს. ისე შორს წავიდა მათი ალ-რაზაყული მორჩილება, რომ ჩვენ ქვეყანას ეკლესიის ავტოკეფალიაზედაც კი უარი უთხრეს და ჩვენ სამღვდელოებას სასჯელით დაემუქრენ. «დამოუკიდებლობის კომიტეტის» წევრები ხომ სახელმწიფო დამნაშავეებად გამოაცხადეს.

თუ მეფის ნაცვლები საქართველოს მტრები იყვნენ, სპარსეთის მიერ წარგზავნილი «ვალი» ისა-ხანი და კომისარი ორჯონიკიძე მუხანათები და მოღალატენი არიან. ერთი მიბრძანეთ: მენშევიკები, რომელნიც, მათ [illegible], საქართველოს მტრის სახელით განაგებდნენ, რა წითელი კვერცხები არიან, რომ სხვა სახელი ვუწოდოთ? როდის აქეთია, რომ სამშობლოს მოღალატეებისადმი ორი საზომი არსებობს?! იქნება ვინმემ სთქვას: მენშევიკებმა ბოლოს ხომ მაინც გამოაცხადეს დამოუკიდებლობა და ეს მათ დანაშაულს უმსუბუქებსო. რაზედაც ჩვენ ვუპასუხებთ: დამოუკიდებლობა საქართველოსთვის კი არ გამოაცხადეს, რომლის საკითხს მათ ყოველთვის მარქსიზმი უჩრდილავდა, არამედ საკუთარი ტყავის გადასარჩენად. როდესაც მათ ბოლშევიკებმა რუსეთი ხელითგან გამოაცალეს და საქართველოს კომისრობაც და ხახამშრალი დასტოვეს, თანაც დასვრეტა დაუპირეს მეტ რა გზა ჰქონდათ, რომ დამოუკიდებელ საქართველოსათვის არ შეეფარებინათ თავი. ევროპაში ემიგრანტად ასვლას და იქ ცარიელი კუჭით ხეტიალს, ყოველიკე შემთხვევაში, პატარა საქართველოს მინისტრობა სჯობდა. განა თვითონ მალავენ ამას? «დამოუკიდებლობის აქტში» ურცხვად და საქვეყნოდ არ აღიარეს: «მხოლოდ იძულებით ვაცხადებთ დამოუკიდებლობას, რომ საქართველო თვით მიატოვა რუსეთმა თავის ანაბარა»-ო. ეს მათი განცხადება თვით ღაღადებს მენშევიკების მუხანათობას და იგი უფრო მათი დანაშაულობის ოქმია, ვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. არც ერთი ერის ისტორიაში ამის მსგავსი სამარცხვინო და ანტი-პატრიოტული საბუთი არ არსებობს.

აი ბატონებო, პირველი საბუთი მენშევიკების მამულიშვილობისა. აი რატომ არა გვწამს ჩვენ მათი პატრიოტიზმი ამ სიტყვის იმ მაღალი მნიშვნელობით, როგორც ეს თ. გიორგის ესმის. გულში იქნებ თავისი ქვეყანა მართლაც უყვარდესთ. თავისებურად ისა-ხანსაც და ანდუყაფარსაც უყვარდათ საქართველო. ალბად თავისი ქვეყანა ორჯონიკიძესაც უყვარს. «სახრავი ატამი ყველას უყვარს»-ო — ქართული ანდაზაა. თუ კი საქართველოს წყალობით ვალიობას უმაღლესს კომისრობას და მით უმეტესს მინისტრ-პრეზიდენტობას მიიღებენ, რატომაც არ შეუყვარდებათ? «მგელი ბატკანს უალერსებდა, შენი ჩასუქებული დუმის ჭირიმეო». შაჰაბაზს და ნადირ-შაჰს, ნიკოლაევიჩს და იმპერატორ ალექსანდრე მესამესაც ძალიან უყვარდათ საქართველო, ისი მაღალი მთები, ფირუზის ცა და კახური ღვინო: მაგრამ, ეს პატრიოტიზმს სრულიადაც არ ნიშნავს. ბევრნაირი და ბევრი ჯურისაა საყვარელი. ხოლო სულ სხვაა პატრიოტიზმი, ჭეშმარიტი და შეგნებული. ჩვენს პოლიტიკურ პარტიებს, და მეტადრე მენშევიკებს, საქართველო გამოსარჩენ საგნადაც აქვსთ გაზდილი.

არა ერთხელ გვითქვამს: ჩვენ მენშევიკების პატრიოტიზმი არა გვჯერა. კარგად ვიცით, რომ იგინი ამ სიტყვას დღეს სასპეკულაციო და სადემაგოგიო მიზნით ხმარობენ. ვინც ამას ვერა ხედავს ან პოლიტიკურად ბეცია, ან მენშევიკების მიერ დაქირავებული მოხელე: «ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს»-ო.

ა ხ ლ ა მ ე ო რ ე ს ა ბ უ თ ი. ვისაც საკუთარ ოჯახში შუღლი შეაქვს მას ოჯახის ერთგულობა ვერ ეთქმის. ქართველი ხალხი იტყვის: «ძმათა შორის შტრობის მთესველს ეშმაკი აძლევს რჩევასა, ამ ქვეყნად კაცნი გაჰკიცხვენ, იმ სოფლად ჰკითხვენ ცოდვასა». განა მენშევიკების მოძღვრება მთლად კლასთა ბრძოლაზედ არაა დამყარებული? და კლასთა ბრძოლა ხომ ეროვნული მთლიანობის დამრღვევია? ხომ ძმათა შორის სისხლის ჩამოგდებას და შინაგან ომსა ნიშნავს? და განა ეს პატრიოტიზმის საწინააღმდეგო საქმე არაა? საქმე, ერის დამამხობელი და დამანგრეველი. და განა ამ ბოროტების ქურუმთა სახელი «პატრიოტებია»? არა, ბატონებო, ქვეყანა ჯერ არ შეყირავებულა და მსოფლიოს ჩარხი ჯერ უკუღმა არა ტრიალებს. ამისთანა პირებს ჯერ კიდევ ყველა ქვეყანაში, გარდა რუსეთისა, და ყველა ენაზედ ერის მტრები ეწოდება.

ს ა ბ უ თ ი მ ე ს ა მ ე. საქართველოს მოსახლეობის 80%-ს გლეხობა შეადგენს. გლეხკაცობა ნამდვილი ძარღვია საქართველოს არსებობისა. ბურჯია ჩვენი ნივთიერი ვითარებისა. გლეხის მტერი ამასთანავე საქართველოს მტერიცაა, ხოლო მენშევიკებზედ დიდი მტერი გლეხკაცობას არა ჰყავს. მენშევიკების მიზანს გლეხის გაპროლეტარება შეადგენს. ე. ი. გლეხკაცის გარდაქმნა მარქსისტული შენობის ნედლ-მასალად. მაგრამ ნახეთ რა ცბიერად შეუდგენ ამ ბნელი საქმის განხორციელებას! მენშევიკებმა კარგად უწყიან, რომ დღეს ქართველ გლეხებთან კერძო საკუთრების წინააღმდეგ ლაპარაკი შეუძლებელი გახდა. ძველი ლათაიები აღარ გაუვათ. მარქსისტულ კოლექტივიზაციით ნაგემი გლეხკაცობა კერძო საკუთრებას ზედ დაჰკანკალებს. თვალის კაკალს ურჩევნია. «განძი დაკარგვის შემდეგ დაფასდების»-ო.

კომუნიზმმა სწორედ გლეხების საკითხში წაიტეხა კისერი. მენშევიკები ამ მწარე გაკვეთილით სარგებლობენ და საქმეს, წუწკი მელასავით, შორითგან უვლიან. ხომ ნახეთ რასა სწერენ? რაც შეიძლება მეტი უცხო კაპიტალი უნდა შემოვიტანოთ საქართველოშიო. რაშია საქმე? რა მუცლის ტკივილი აქვთ? საქმე მხოლოდ იმაშია, რომ უცხო კაპიტალის წყალობით მათ სურთ საქართველო ერთ ვეებერთელა ქარხანად აქციონ. ეს მოვლენა მათი რწმენით, გლეხს გააპროლეტარებს. ძლიერი კაპიტალისტური წარმოება მრავალ მუშა ხელს მოითხოვს და გლეხობას მიიზიდავს. გლეხობის მომეტებული ნაწილი მიწას მიატოვებს და ქარხნებს მიაშურებს. მენშევიკებსაც ეს სურთ. «ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო» ნათქვამია. ხომ ხედავთ საითგან უნდათ გამოსდონ სარჩა საწყალ გლეხკაცსა? მართლაც და, თუ გლეხების უმეტესობა არ გაღატაკდეს, აგა სოციალიზმი როგორ განხორციელდება? ორიოდე ქარხნის განსახოგადოებით რა ფონს გავლენ, თუ კი ამ სოციალისტურ მეურნეობას 80 პროცენტი მესაკუთრე გლეხობა გვერდით ექნება! ამ პირობებში კოლექტიური მეურნეობა მალე ისევ კერძო საკუთრებას დაეზრდება. ეს აშკარაა. ცნობილმა პაპა-ჩემმა იცოდა ხოლმე: «აქლემი რომ კამეჩებში გაურიო რქა ამოუვაო». მენშევიკები ამას კარგადა გრძნობენ. ამიტომ დღეს მიწების პირდაპირი ჩამორთმევის შესახებ კრინტს ვერა სძრავენ, მიყუჩდენ. მაგრამ ეს მიყუჩება, სინამდვილეში, მსხვერპლისადმი მისაპარად განაგვაა და სხვა არაფერი. გლეხის მშრალზედ გარიყვას სხვა ხრიკებით ლამობენ. გაღატაკებული და დავრდომილი გლეხი, რასაკვირველია, მარქსისტულ მოძრაობას ადვილად აჰყვება: «წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო».

ამ უცხო კაპიტალის შემოტანით იქნებ მენშევიკებმა სხვები მოატყუონ. იქნებ ბევრს სულმა წასძლიოს. მაგრამ თ. გიორგის ვერ შეაცდენენ. ეს რომ იციან მენშევიკებმა, ამიტომაც ახლავე წამოედავენ ნაციონალისტურ ეკონომიკის მიმართულებასა. ჩვენ კარგად ვუწყით, რომ უცხო კაპიტალს უცხო კაპიტალისტებიც თან მოჰყვებიან. ფული პანტა ხომ არ არის ხეიგანა ცვიოდეს! ამერიკელი სოვდაგარი ბაჯაღლო ოქროებს საქართველოს სიყვარულით ხომ არ ჩაგვიჩხრიალებს ჯიბეში! მერე რა მოჰყვება ამ უცხო კაპიტალისტების შემოსვლასა? ისა, რომ ჩვენი გლეხკაცობა ნამდვილ და მკვიდრ ქონებას—მიწას—დაჰკარგავს და ოჯახის გამოსაკვებად სოციალისტურ სამოთხეზედ ოცნებაღა შერჩება. ხოლო რა ნაზუქარიცა ცხვება ამ სამოთხეში ეს ხომ ყველამ უწყის. გლეხი გაპროლეტარდება. უცხოელი კაპიტალისტები კი ღიპს გაისუქებენ და ჩვენი ხალხის ოფლით მოგებულ ფულს საკუთარი ქვეყნების ბანკებში ჩასდებენ.

მაგრამ ჩვენი გლეხი რუსის მუჟიკი როდია. რუსის მუჟიკს ტურასავით მოხეტიალე სული აქვს აიყრება და მიმუნძულებს საცაც თვალი მიუწვდება. რა ენაღვლება? რა რჩება უკანა? სამშობლოსადმი გრძნობა მას არა აქვს და რუსეთის ბნელი და ხრიოკი ველები «სემიჩკის» მეტს არაფერს აძლევს. წინ კი იქნება რაიმე შეხვდეს, ან გასაქუცი ან მოსაპარი, რომ მგლივით შესთქლიფოს. ეგ არის ორ ფეხზედ დადის, თორემ, დამიჯერეთ, პირუტყვია მეთქი! ამისთანა ხალხსა, მცირე ნივთიერი ქონება რომა აქვს, ისიც თუ გამოსწორეთ, სულიერი განძი სულ არ გააჩნია და, რასაკვირველია, გაკომუნისტდება აბა რა იქნება, თქვენი ჭირიმეთ?! ჩვენი გლეხი კი სამშობლო მიწაზედ მაგრადაა დამკვიდრებული. მას ამ მიწაზედ სისხლიც ბევრი უღვრია და ოფლიცა. ამიტომაცაა რომ საქართველოს მიწა-წყალი მისი ნამდვილი სისხლი და ხორცია, თანაც მისი გამომკვები ძუძუ, ეროვნულ ძველ კულტურასაც სულიერ-ზნეობრივი ძალა მკვიდრად ჩაუნერგავს მის არსებაში. ან როგორ მიატოვებს ჩვენ ბარაქიან მიწასა, რომელზედაც ზეციურ მეუფეს თავისი კალთა ასე უხვად დაუბერტყია? რომელზედაც საკუთარი ნიჭით შეუქმნია და შრომით მოუყვანია რქა-წითელა, ხარის თვალა, ბუდეშური, გულაბი და აბილაური?

ჩვენ გლეხს, მენშევიკები თავისი ქარხნებით, თუმცა მასზე ძალიან ოსტატურად უგებენ, ადვილად ვერ წაიტყუებენ. თანაც ამ საქმეშიც, როგორც სხვა მათ ბოროტ განზრახვებში, თ. გიორგი გადაეღობება წინა.

მომავალ თავისუფალ საქართველოში თ. გიორგული, ეროვნული სახელმწიფო დამყარდება. ეს უდავოა. იმიტომ, რომ არა მხოლოდ საქართველოსა, არამედ მთლად მსოფლიოს ცხოვრების ნაკადული ეროვნულ სახელმწიფოსაკენ მიაქანებს.

თ. გიორგული სახელმწიფო ეკონომიკაში საჭირო წონასწორობას დაამყარებს. ინტეგრალური ნაციონალიზმის, ე.ი. ჩვენი მრწამსი, ეკონომიკის მიმართ მოკლედ შემდეგია: ეკონომიკის სხვა და სხვა დარგები ერთი მეორეს კი არ უნდა ვნებდენ და ანადგურებდენ, არამედ უნდა ავსებდენ. მათ შორის უნდა არსებობდეს ღონიერი შეწონილება. ე. ი., როგორც ყოველ სხვა დარგში ეროვნული გამომჟღავნებისა, ეკონომიკის მოქმედებაშიც უნდა დამყარდეს ეროვნული დისციპლინა. ხელმძღვანელი და დამფუძნებელი ამ ეროვნული დისციპლინისა უნდა იყოს ეროვნული სახელმწიფო. ეკონომიკის წონასწორობა დამყარებული უნდა იყოს ეროვნული სინამდვილეზედ, რაც ერთად ერთი რეალური ფუძეა ყოველი წამოწყებისა. ასე დარაზმული და შეწყობილი ეკონომიკის მოქმედება უნდა ემსახურებოდეს ერთ უმაღლეს მიზანს: ეროვნულ ინტერესს. ხოლო ამ მიზანთა დამსახველი და ნათელმყოფელი ეროვნული სახელმწიფოა. ამნაირად ეკონომიკის წონასწორობის ფუძე და უმაღლესი მიზანი ერთი და იგივეა: ერი. ხოლო, ერი არის უდიდესი და ყველა სინამდვილეთა შემცველი დადებითი სინამდვილე. სინამდვილე არა დამანგრეველი და გამანადგურებელი, არამედ ცივილიზაციების შემქმნელი, კაცობრიობის წინსვლის და განვითარების უმაღლესი ძალა. ამნაირ ეკონომიკას ეწოდება: ე რ ო ვ ნ უ ლ ი ე კ ო ნ ო მ ი კ ა.

დღეს მსოფლიოში დაპირისპირებულია ორი ეკონომიკა: ნაციონალისტური და ინტერნაციონალისტური ანუ მარქსისტული. ამ ორი ეკონომიკის სახით იბრძვის ორი ძალა: აღმშენებლობითი და დამანგრეველი. ეროვნულ სახელმწიფოს დამყარებით დამყარდება ნაციონალისტური ეკონომიკაც. ხოლო თუ გაიმარჯვა მარქსისტულმა ეკონომიკამ, მსოფლიო კომუნისტურ უფსკრულში შთაინთქმება. ჩვენ ვიზიარებთ პირველ დებულებას და საქართველოში ნაციონალისტურ ეკონომიკას დავამყარებთ.

ნაციონალისტური ეკონომიკა უპირველეს ყოვლისა ეროვნულ მიზნებს ისახავს. მენშევიკებისა კი მარქსის იდეებისადმია დამორჩილებული.

ყოველივე ამას სხვათა შორის შევეხე. გლეხების საკითხი კი იმიტომ მოვიხსენიე აქა, რათა დამემტკიცებინა მენშევიკების ანტიპატრიოტული სულისკვეთება. პატრიოტი ერის გამდიდრებას უნდა ცდილობდეს თუ გაღატაკებასა? თუ ქართველ გლეხკაცობის მტერსაც პატრიოტი ეწოდება, სწორედ ბაბილონის კოშკში გვიცხოვრია და ეგაა!

მენშევიკები მაინც გაჰყვიან: პატრიოტები ვართო. «შემოჯდა ყვავი ვარდზედა ჩემობს ბულბულობასა». მაგრამ თ. გიორგისთან ამაებით [illegible] ვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო».

დღეს სიტყვა პატრიოტიზმი სადემაგოგიო საგნად გაიხადეს, როგორც უწინ ამავე სიტყვას მხოლოდ შებრუნებული მიზნით იმავე სადემაგოგიო საშუალებათა ხმარობდენ. დიდი ოინბაზები არიან, დიდი თვალთმაქცი ქართული პოლიტიკური პარტიები. ზოგჯერ მათი ოინბაზობა საზიზღარია, ზოგჯერ კი სასაცილო და ტაკი-მასხარული.

აი თუნდაც ბ-ნ ალექსანდრე ასათიანის უკანასკნელი ოინი ავიღოთ. ყველამ უწყის, რომ მას შემდეგ რაც იგი «საერთო ფრონტის» ერთი ხვრელითგან გამომძვრალი მეორე ხვრელითგან შეძვრა, ახალგაზრდობა მთლად ჩამოშორდა. რა ქმნას ეროვნულ-დემოკრატების ახალგაზრდობამ, რომელიც თავის თავად საუცხოვო ელემენტია, ნაბრძოლი და თავდადებული. უფროსებმა დავთარი დაუბნიეს და ხან ერთ კედელს ეცემიან, საწყლები, ხან მეორესა. «ბევრი გაზრდილის ხელშია ყმაწვილი შესწუხდებისაო».—ამას მოგახსენებდით: ასათიანს ახალგაზრდობა ჩამოშორდა მეთქი. შეღონდა საწყალი ალექსანდრე. «ახალგაზრდობის მოძრაობის საუკუნეში რაღა მე უნდა დავრჩე უახალგაზრდებოთაო?! ეს ხომ დიდი მარცხია და მოწინააღმდეგენი წამომაყვედრიანო»!! ერთი სიტყვით ჯავრნებულში ჩავარდა. «ხერხი სჯობია ღონესაო» იფიქრა და რათგან მასა და მის მეგობრებს ხერხად ხრიკები მიაჩნიათ, მანაც ხრიკს მიმართა.

გარშემო მიიხედ-მოიხედა; შეამჩნია, რომ ოთხიოდე ახალგაზრდობითგან ახლად გამოსულიღა შერჩენოდა. გზა აბნეულნი ალექსანდრეს შეჰკედლებოდენ. ახალგაზრდობითგან ახლად გამოსული მეთქი ამას იმიტომ მოვახსენებთ, რომ ცალი ფეხიღა ედგათ ახალგაზრდობაშია: თმაში ყველას უკვე ორიოდე ღერი ჭაღარა შეჰპაროდათ. ადგა ეს ჩვენი ალექსანდრე და ის კი ვეღარ გაბედა მათთვის ახალგაზრდები ეწოდებინა — «ვაი თუ თავი სულ გავიმასხარაოო» — და «უფროსს ახალგაზრდებად» მონათლა.

ამბობენ, ალექსანდრე ასათიანი რაც მიწის ზემოთაა ორი იმდენი მიწის ქვემოდ არისო, დიდი ქვეშ-ქვეშა და ეშმაკი ვინმეაო. აგა მე პირადად მას არ ვიცნობ, შორითგანაც კი არ დამინახავს. ეს კია გაზ. «თეთრი გიორგი»-ში, «წეროს» მიერ დახატულ კარიკატურაში ვნახე. არ ვიცნობ მეთქი, მაგრამ მის საქმეებს და საქციელს რომ ვუკვირდები, ვრწმუნდები, რომ მისი ეშმაკობა მისი პოლიტიკისამებრ მოკლეფეხებიანია. ის რაღა ეშმაკობაა, თქვენი რისხვა მე თუ კი მაშინვე ქვეყანა მიგიხვდება და შენი ოინი შენვე გაგამასხარავებს! ამისთანა ეშმაკებს ჯოჯოხეთითგან ერეკებიან უვარგისობის გამო. მე ერთი ქართველი კაცი გახლავართ. აგა ქართველის ხრიკები ვის გაუგია? ერთი გულ უბრყვილო ხალხი ვართ. რაც გუნებაში გვაქვს, ის ენაზედ გვაკერია. გული ხელზედ გვიდევს. მაგრამ წმინდა გიორგიმ დამლახვროს, ასათიანის გაჭირვებაში რომ ჩავარდე, თუ იმაზედ გონიერი ეშმაკობა არ გამომივიდეს ხელითგანა, თუ კი ამას ვიკადრებ. არა, ეშმაკობის უნარიც კი არა ჰქონია ამ საცოდავსა! აი თუნდაც «ახალგაზრდობის საკითხი» ავიღოთ. რა კი ალექსანდრე ასეთ ჭაპან წყვეტაში ჩავარდა. გარემ დააგდო და მთელი თავისი ჯგუფი გაახალგაზრდავა, ვინაითგან ხნივრებას წლებით კი არა ზომავს, არამედ «კომბინაციებითა», მე ამ კეთილ რჩევას ვაძლევ: თავისი მცირე ჯგუფი სამ ნაწილად გაანაწილოს. იმ წევრებს, რომელთ უკვე ორიოდე ღერი ჭაღარა შერევიათ. თავის მიერ გამოგონილი სახელი დაუტოვოს: «უფროსი ახალგაზრდობა»; ვინც უკვე 50 წელს მიაგჯინეს შუბლი, მათ «ხანში შესული ახალგაზრდები» დაარქვას; ვისაც სამოც წელიწადს გადუგიჯებია მათ «ბებერი ახალგაზრდები» უწოდოს. ამნაირად მთელ თავის ჯგუფს ისე გაახალგაზრდავებს, რომ ვორონოვის ოპერაცია არ დასჭირდება. ამ ხრიკით ორ კურდღელს დაიჭერს. ცალი მხრივ სპ. კედიას უფრო გამოაჯავრებს და გულს მოუკლავს და მეორე მხრივ მენშევიკების დიქტატორებს თავისი გაახალგაზრდებული «ჩინოვნიკების» გუნდით უფრო გულმოდგინედ ემსახურება. ჯამაგირსაც მეტს მისცემენ. აბა სად ახალგაზრდების მუყაითობა და სად მოხუცებულებისა?! «საერთო ფრონტსაც» ამისთანა ჯგუფი უფრო შეეფერება. «როგორიც არხანაო ისეთი ჩარხანაო». «როგორიც მღვდელიო ისეთი მრევლიო».

მაგრამ ასათიანმა ერთხელ მაინც რომ შესძლოს გულწრფელობა, ერთხელ მაინც რომ ხრიკებს თავი დაანებოს. თავის ჯგუფს «სულიერად ბებერთა ჯგუფი» უნდა უწოდოს, იმიტომ, რომ ასათიანის ჯგუფის ბუნებას სისწორით მხოლოდ ეს სახელწოდება გამოხატავს.

მართლაც სულიერად მოხუცებულნი და გონება ღჩანი უნდა იყვნენ ის პოლიტიკური გელადნი, რომელთ ცხოვრების გარდაქმნათა დღევანდელ ძლიერ დუღილში ერთი ახალი აზრის გამოთქმა ვერ შესძლეს, ერთი ახალი სიტყვა ვერა სთქვეს. ორიოდე ახალგაზრდაც კი მჭიდრო ორგანიზაციაში ვერ დარაზმეს. გაიყინენ დაძველებული აზროვნების ნიადაგზედ, თითქოს ოც და ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრების ბრუნვა ერთ წერტილზედ შეჩერებულიყოს. საკუთარ ფეხზედ ვერ დადგნენ. საკუთარი გზა ვერ გაიკვლიეს. დასტრიალებენ თავს ამ ყალბ ფრონტსა, როგორც ბუზი თაფლსა, ან ვისმე გახჭორავენ და მხოლოდ ამითი განისაზღვრება მათი მოღვაწეობა. დიახ, «სულიერად ბებერთა ჯგუფი», აი ნამდვილი სახელი მათი!

სწორედ მოგახსენოთ აქ წერილში ასათიანის შესახებ კრინტის დაძვრასაც კი არ ვაპირებდი. ხოლო სიტყვამ მოიტანა და ამ სიტყვამ გადამიყოლია.

დიდ ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე. თავი შევაწყინე. წერილი მეტად გამიბრტყელდა. თუმცა რუსთაველის ლექსი კარგად ვიცი: «გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო»... მაგრამ აგა რომელი რუსთაველი მე ვარ?..

სოლომონ მაჭავარიანი.

გაზეთი „თეთრი გიორგი" ღირება:
წლიურად ...... 20 ფრანკი.
6 თვით ...... 10 ფრანკი.
ცალკე ნომერი ... 2 ფრანკი.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: M. Dadiani. 4. square du Trocadéro, Paris (16e)
Tél. Passy 45-17

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant: Félix KALDENBACH